ნნდა—მოთქმა კვნესის მავიერათ
სიამე დანერგულიყო;
და სპისზარი, საეშობა
გინისტ გეადრ ძანგა, კრულ იყო!...
აღვანერე სელი ზეციცენ —
ღვთისთვის მადლობის თქმა მსურდა,
შეგინებე ოკროს ანანით
ცაზე ეწეა „აღსრულდა!“
და სმა გმირული, სმა ტკბილი
უფრო ძლიერათ ისმობდა;
და მთა მდღეა, სად ეადექ,
ქედს ისრინა, იძროდა!...

ბ. გოგოლაძე.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა .

სახლურნი შოკისა და პატრანი გეკლენჭებამე, კრიტიკურნი წერალი ფ. მასნაძისა.

მიეპკვეთ მიკთხევილის ყურადღებას ამ წიკნაჯზე, რომელშიაც მეცნიერული მეთოდით არის განხილული არამეცნიერული და სხოლასტური შეხედულებანი ბ-ნი მელ. კელენჯერიძის „სახალხო პოეზიაზე და სხვ.“...

ჩემნი აზრით ბევრი არ არის იმისთანა დასაბუთებული კრიტიკული განხილვა ჩვენ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, როგორც არის ბ-ნი მე. კელენჯერიძის თხზულების. განხილვა ფ. მასნაძის მიერ. შემოსწინებულ წიგნაკში ჩვენ ენიშნათ ამ კრიტიკულ განხილვას მხოლოთ ერთ ნაყოლოცენებას. ის მეტათ დაწვრილმანებით განარჩევს დედა აზრს ბ-ნი კელენჯერიძის თხზულებისას რომელსაც არავითარი მეცნიერული აზრი არა აქვს საჩრულოთ დადებული, არამედ იგია შელოამბული რუსეთის სლავიანოფილების გადაყრებული აზრებით და უსაფუძვლო თეორიით. ეს თეორია იყო მოგონებული რეაქციონური განზრახვლებით, რომ წინააღდეგმო-

დენ მეორმოცე და მესამოცე წლების პეტერბურლის ლიტერატორების პროგრესიულ მიმართულებას და დასაუფლოთდან მცენიერების შემოტანას. რასაც ბ.ნი კელენჯერიძე ქადაგებს თავის თხზულებაში სახალხო პოეზიის და მათი მნიშვნელობის შესახებ, უკვე ასი წლის წინეთ იყო გამოთქმული გერმანიის მეტაფიზიკებისა და რუსეთის რეაქციონურ სლავოფილუმის მიერ. ამ გადაყოფილ კელენჯერიძის აზრებს სახალხო პოეზიის შესახებ საერთო არა აქვსრა ახლანდელ ფოლკლორისტიკების თეორიასთან და ლეტურნოს თხზულებასთან — სხვადა სხვა ერთა და ტომთა ლიტერატურული განე-თარება“. რუსეთის სლოვენოფილთა დაფორებული და კ. კელენჯერიძის მიერ შეთესებული თეორიის დასარღვევით სრულდებოდა კმარადა ორიად მისი ძირითადი აზრების გამოქვეყნება ამ საგანზე, იმათი შინაარსის სილატაკის ჩვენება და მერე ზედ კალპის გადასმ-ვადმოსმა. მოარჩა და მოისვენა. მაკალითასათვის მოვიყვანთ ბ.ნი კელენჯერიძის მიერ გამოთქმულ რამდენსამე აზრს: „საღვწიწი ზოგან და სიტყვაჯარება ასწავლეს ყოველსავე კარგს, ავითარებს მის საზოგადოებრივ ზნე დაგეშულებას და ბიწიერებას“. მისი აზრით ხალხის მეთაურებმა ხალხურ პოეზიაში და იმის ეპოსის გმირებში უნდა ძებნონ იდეალები ხალხის განებრე-ზნეობრივ ასამაღლებლათ, მათი ნაციონალური შემეცნების ვასავითარებლათ და ერის ძალ-ღონის ასაუფლებლათ. ერთი სიტყვით კელენჯერიძის აზრი, სახალხო პოეზია, მისი ეპოსი და იქ გამოყვანილი გმირები არიან ლამპარნი ხალხის გონების განვითარებისა და მის საუკეთესო იდეალების შექმნისა. გამოდის, რომ ჩენ ხალხს მეცხრამეტე საუკუნეში არავითარი ევროპული მცენიერების შესწავლა არ უნდა, არც მისი ბუნებისმეტყველება, არც მისი ქიმიკა, არც მისი ფიზიკა, არც მისი დარბინი, არც მისი გეკსლი, არც მისი პასტერი და რუე, არც მისი ედისონი და რენტგენი; საქმაა, ჩენი ხალხის პოეტები, ბელოეტისტიკები და მკვლევარნი ჩაუღრმავდენ მხოლოთ ამირანიანიკა და რომ-სტომ-ბეგანიანის გმირების ცხოვრებისა და იმათ იდეალურ მოქმედებაში იძიონ ეროვნების განვითარებისა და ყოველნაირი საზოგადოებრივი სოციალური წეს-წყობილების გაუმჯობესობის წყარო. აი, შენიერი დასკვნა ბ.ნი მელ. კელენჯერიძის სიბრძინისა „სახალხო პოეზიის შესახებ“.

მაშ რასაც აქამდის ვერაპის მცენიერება ქადაგებდა, სულ ტყუილი ყოფილა.

ბ.ნი კელენჯერიძის დაფორებული აზრების დასარღვევით საკმაო გამოყვევით ბ.ნი მ. მახარაძის

წიგნაკიდან შემდეგი ადგილი: „ნამდვილი ისტორიკოსი მას მოკვასრობს, რომ თანამედროვე ნაციონალური იდეა ყოველგან ნათიერი, პატრიარქული წარმართების შედეგა. — საშუალო საუკუნეობის ძველ დროიდან დაწმინდი პატრიარქული თუ ნატურალური წარმართება რომ არ დაგრეკულიყო, ვიწრო განსაკუთრებულა თითო მან-წლის და დახისა არ დაგრეკულიყო და იმათ მაგერით გაჭრება და მრეკელობას უფრო დიდი კადაპობი არ შეეკნა წარმოებისათვის და პატარ-პატარ განსაკუთრებული დასწული მანრები, სეოპები, ერთი მეორესთან არ დაეკავშირება საერთო ინტერესების დასცველათ, ისტორიკოსს დაეს არ ეტოდასებოდა არც თანამედროვე ინგლისს, საფრანკეთი, გერმანია, (ჩვენს დაქმნთ თუნდ საქართველოც) და არც ბ.ნი კელენჯერიძის ნაციონალური შეხედება“. აქედან ცხადა, რომ ნაციონალური იდეა მეცხრამეტე საუკუნეში სახალხო პოეზიის ეპოსურ გმირებს კი არ გამოუწვევია, არამედ ეპრობაპირველობაში გამოწვეულ კარჩეტილი თემების ერთთ შეერთებას და ნეთიერთ იმათ გაძლიერებას და გაძლიერებას.

ბ.ნი კელენჯერიძის იხილ ვერ შეუფენია, თუ რას ხალხო პოეზიას“ განსაკუთრებით რა მხრით აქვს ჩენი ლიტერატორ-ბელოეტისტიკ-პუბლიცისტიკებისთვის მნიშვნელობა. ამ პოეზიაში იდეალი კი არ უნდა მიაჩნოს ხელში ჩენ მწერლობას, არამედ უცხო სკოლაში აღზრდილ ჩენ ახალგაზრდას დაერწყვებოდა სამშობლო ენა და პოეტური გამოხატულება ტრისა, მისი ლოკიულ-ეპიკური თვისება შესწავლოდა და გადაცარებულ ახალგაზრდას მისი შინაგანი თვისებური ბუნება, უცხო ენის აზროვნებაში მიმაღული და მიქმალული, გამოურკვიოს, განუთანისუფლოს, გამოაბრუნოს. ამას გარდა დღეს თუ მეცნიერება სახალხო პოეზიის ნაშთებს ავაროვებს და იკვლევს, განა იმისთვის, რომ იქ იდეალები მომავლისა მოიპოვოს? სრულდებოდაც არა. რა იდეალები უნდა იპოვოს ჩენმა დრომ მეცხრამეტე საუკუნის კაცობრიობის სოციალურ წეს-წყობილების განსავითარებლათ, იმ პატრიარქალური, ნათერთ ენოლოგი კაცობრიობის ნაწარმოებში, რომლის გმირები იტ სისხლის ღერისა, ცარკვალეებისა და ქალების მატარებლის მტრს არას აყვებდენ. და თუ აქ-იქ მონების; ანუ ერების განთავისუფლებზეა ძველ ეპოსში ლაპარაკი,— ეს ღმინიტიარული მოთხოვნილებების პრინციპათ კი არ არის აღსარებული, არამედ ან უზენესი გეამის მოწყობებათ, ან რომლისმდე ეკლუცი იდეალის სურვილის ასასრულებლათ. ფოლკლორისტიკების მეცადინებას სახალხო პოეზიის ნაშთების შესავაროებლათ ის მიზანი აქვს, რომ ამ ნაშთებში იძიონ კვალი კაცობრიობის განვითარებისა ისტორიის უწი-

ნარეს ეპოქაში. იგი არის მეცნიერებისთვის მხოლოდ მასწავლებელი და არა იდეალების საძებნე-ლოთ.

ამ სახით ბ-ნი კელენჯერიძის გამოკვლევა „სახალხო პოეზიაზე“ წმინდა რეაქციონული ვიწრო აზროვნების კალაპოტით არის დაწერილი. იმას არც კი ესმის „სახალხო პოეზიის“ ძირითადი მნიშვნელობა. ამისთვის ეუბნებენ ჩვენ მკითხველებს გულდასმით წაიკითხონ ამ საგანზე დასტამბული ბ-ნი უ. მახარაძის კრიტიკული წერილი, რომელიც არის სუფთათ გამოცემული ჭეღობისა და იმედამიჯლის ამხანაგობის მიერ. ეს წიგნაკი კარგი, მდამიო ლიტერატურული ნიჭით არის დაწერილი და მკითხველი ბევრ მეცნიერულ აზრებსაც ამოიკითხავს იქიდან.

ბ. წერეთელი.



წერილი პარიჟიდან *)



პარიჟი. 5/17 იანვარი. მთელი ეს ორი კვირა პარიჟი განუწყვეტლივ ღელავს. ამ დრეიფუს-ესტრეპაზის საქმემ მთელი ხალხი შეანარჩია, ამოდენა ქაქიკი ააზრობოქრა. და ახლა ხელ-მეორეთ შეიღმა მსაჯულმა აღიარა, მართალი იყვენ ის შეიღი მსაჯული, რომლებმაც ამ ორი წლის წინეთ დრეიფუსი დასაჯესო. მადლობა ღმერთს! პარიჟს ერთი ლოდი მო-შორდა ზურგიდან. ყოველმა კაცმა თავისუფლათ ამოისუნთქა. ესტრეპაზი გამართლდა, დრეიფუსი დაისაჯა—ამ პარიჟელის სალაპარაკო საგანი. ესტრეპაზს, რომელსაც ეს ორი თვეა სულის სიმშვიდე არ დაუკარგავს, მხოლოდ გამართლებას შემდეგ მოერია ადამიანური სისუსტე და მისი ღრმით დაღარული პიროის სახე ცრემლებმა დასცეღო.

—რით ესურთ დასაჯოთ თქვენი ბრალმდებელი—ჰკითხეს მას.—არაფრით, გარდა იმისა რომ მო-მავალი ჩვენი— მიუფო მან.

ამ დროს განმეფობაში ბ-ნი ემილ-ზოლა წერილებს წერდა. წერილი ახალ-გაზღობას, წერილი საფრანგეთს, წერილი პრეზიდენტს—ერთი სიტყვით სულ წერილი და წერილი, სანამ ის სიმართლის და ადამიანობის სახელით ქუნდა, მანამ მხოლოდ გაკვირებებაში მიიღობოდენ, ხოლო როცა მან საფრანგეთის ჯარი, მის სარღლებში განზარტებულთ, შეურაცხყო, საფრანგეთი აღელვდა. მაშინ კი იმ ახალ-

გაზღობამ, რომელსაც ზოლა თავისკენ იწყებდა, გადაწყვიტა: ფრენეროთ ზოლას რომ ის შემცდარია, რომ ის ყალბ გზას დაადგა. ამ უკანასკნელ დღეებში ლათინური უბანი დაუსრულებელ რევილიოუციაშია. სტუდენტებს სურთ გღმა გავიდენ და ზოლის უნჯარასთან მანიფესტაცია მოახდინონ, პოლიცია კი დგას ხიდენგზე და მათ არ უშვებს. მიუხედავათ ამისა, მათ, პატარა-პატარა ჯგუფებოთ დაყოფილებმა, პოლიციას თვალი აუხვიეს და სენჯე ორ-ხელ მაინც გავიდენ და მოასწრეს დრეიფუსის დამცეველ გახეთებს უიჯარას და „ავროარ“-ის წინ დემონსტრაცია მოეხდინათ. პარიჟის ქულები დიდ ღელვამია, ყველგან მხოლოდ—conspuez Zola!—შეაფურთხეთ ზოლას—გაისმის.

საბრალო ზოლა! გუშინ კიდე გაისმოდა აქაური ქულებზე „ძირს ზოლა“ და მგონი რომ ეს ძახილი დიდხანს არ შეწყვედება. გამოჩენილ რომანისტს ყველაზე უფრო ლათინური უბანი გადაემტერა. აქაური ახალ-გაზღობა მოსვენებას. აღარ აძლევს. ამასთანავე ეს ერთ გასართობ და დროს გასატარებელ საგნათ ვადაიქცა. ზოლა განსა საგანი სოცილის, ხუმრობის, თავ-ყრილობის და ქუჩის არეულობის. ყავახანები ერთი დილიდან მეორე დილაში ხალხით საესეა და აქ დაწყებული პატარა პატარა შეჯახება ქუნაზე გტლდება ხოლმე. ეს, თუ გნებავთ, ერთიანი ცელქობაა, მარა არა უსაგნო და ნამალადვეი, არამედ საგნიანი და სრულიად ბუნებრივი. ეს აქაური, პარიჟული ცელქობაა..

თუ ამდენს დრეიფუსზე ლაპარაკობენ, კიდე მეტს ლაპარაკობენ ერთ ახალ დრამაზე. „სირანო დე-ბერკერა“-მა—ხუთ მოქმედებანიამ დრამამ ედმონდ როსტანდისამ—დრეიფუსზე არა ნაკლები აღავი დიოქირა პარიჟელთა თვალში. მიუხედავთ საერთო ორონტრიალის და აურ-ზაურისა, პარიჟელი ეს ხელ-ღმერთი ნაწარმოებთ მანიც არ გამოკნაართ. ის რაც უნდა გატაცებული იყოს პოლიტიკით, ესტეტისკის მანიც არ იგოწყებს. პოლიტიკა უესტეტოკოთ და ესტეტოკა უპოლიტიკოთ—მისთვის სრულიად წარმოუდღვენელია. და მართლაც, როგორც კი გამოვიდა როსტანდის დრამა, მანინე ის უშესანიშნავეს ნაწარმოებთ აღიარეს და სარბიანის ერთ ცნობილ პოოფესორმა თავის ლექციებში უკვე ახსენას როგორც კლასიკური თხზულება. თუ ამ დრამამ ასე მოკლედ დროში ასე დიდი სახელი მოიპოვა, ეს იმიტომ რომ ის ნამდვილი ფრანგული ხასიათისაა, მასში ჩქეფს ფრანგის სისხლი, ცემს ფრანგის მჯეა, ტრიალებს ფრანგის სული—ერთი სიტყვით ფრანგის ბუნებამ, მის განკერძობებულ თვისებებმა აქ ჰპოვეს ნამდვილი

*) ჩვენ მივიღეთ ეს წერილი ერთ პარიჟელ ახალ-გაზღობან, რჩე ნათლათ სტატუს ლათინურ უბნის აზრს დრეიფუსის შესახებ.

გამოხატულება. შინაარსი ისტორიულია, სირანო გამოგონებული პირი არ არის, მისი ბრძოლა და სიყოჩაღე ჩვეულებრივი მოვლენაა. მისი უიმედო სიყვარული — არ ახალი ძველია, მისი უქანსანელი ბედნიერება (მხოლოდ სიკვდილის ვაშლს მას აკაცებს მისი უყვარელი არსება) — გასაკვირველი არ არის, მარა ყველა ეს ისეა შეკინძული, ერთმანეთში ჩაქსოვილი, ერთი გრძნობით გამსჭვალული, რომ მათურებელზე რაღაც არა ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს. სირანო — ეს განზოცელებული l'esprit français-ადა აი რატომ გადაიქცა ის საყვარელ პიესათ. პირველი სამი მოქმედება გენიოსურია, მეორე მისი მიან-დამინც ვერაფერი, ხოლო მესამე უკეთესია. საზოგადო შთაბეჭდილება საოცარია...

—
 აი ერთი ახიერებული სცენა „უკვდავთა“ აკადემიაში: უქანსანელ სდომამზე ადგენდნ ფრანგული ნების ლექსიკონს, მარა ერთმა სიტყვამ ამ დიდუკ უკვდავ ერთიანთა აურია დაფთარი — ეს ვახლავს სიტყვა ანტიკლერიკალობა. აკადემიამ ასეაგნა: ანტიკლერიკალობა ნიშნავს: წინააღმდეგობა სამღვდლოების პოლიტიკაში ჩარევის. მაშინე წამოადა დიუტო მხარინდან ერთი წევრი და განაცხადა: მე წინააღმდეგი ვარ ქადაგებნა შეტანისა პოლიტიკაში, მარა მე სრულებით ანტიკლერიკალი არა ვარო. აკადემიამ ასე შესცვალა: სამღვდლოების წინააღმდეგობა. მაშინ წამოადა მეორე „უკვდავთ“ და დიდხაბა: მე წინააღმდეგი ვარ სამღვდლოების პოლიტიკაში ჩარევის, მარა ამასთანევე მე შორს ვარ ანტიკლერიკალობისაგან, ეინიოდან მე პატის ცემქ სამღვდლოებას და მუხლს ეიდრეკ მის წინაშეო. ამნარათ, „უკვდავნი“ სხვადასხვა აზრს დაადგენ და შეთანხმდენ მხოლოდ მით, რომ სიტყვა სრულებით აუხსნელი დატოვეს და სხვა სიტყვაზე გადაიდენ. მაშ უნდა მოვიცადათ კიდევ 40 წელი, სანამ ისეთ ახსნას გამოიკონებენ, რომელიც ყველა პარტიას, დიუკებითოთ, დაემაყოფილებს... ამნარათ, ამ უქანსანელ ორ კვირაში პარიტი დრეჟულსმა ააღლევა, სირანო დებეჟეკრაქმა“ დაამშვიდა და „უკვდავებმა“ გააცირა. — 1c.

მგზავრის შენიშვნები
 (შემდეგ)

შენიერინი ძალიან კეთილი გულისაა. მან არ იცის გჯგაერება, არ იცის შტრობა. გული ლაქილიანი არა აქვს. აწყენით რამე, ის ამას არ დაიხსსიერებს, გულოში არ ჩაიჩენს. კეთილი მზარეუკარობის და ბოროტს აფიყებინებს. მტრობა მას არ

შეუძლია, მეგობრობა კი ძალიან. პირველი ვაცნობის შემდეგ ის თქვენი ერთგული მეგობარია, დადნდეთ, ნუ გეშინიათ, არ მოგატყუებსთ. ჰკითხეთ რჩევა, რასაკირველია, ისეთ რამეში, რაც მან იცის, — გულწრფელათ გირჩევსთ, გულწრფელათ დაგეგმარებათ. თქვენი დარღობი ისიც დალონდნება და სინარულით — გაიხარებს. „Fräulein! მიინდა ვეპო, არ ვიცი კი რა“, ვუბნება სტუდენტი. — „აი, ჩემო ბატონო, უნასუბებს კლენერიინი და უჩვენებს ქარტას: ეს საქმელი უტეთესია, ეს მეორე კი მშ...“ ცხირს ზვეით იწევს — მე არ მომწონს. არ გირჩევთ მაგის ქამას... ეგ მესამე — იქით აქეთ იხედნება და ჩუბათ ამოაბს — ეგ გუშინდელი გაცეთებულია, არ ქამოთ, გაწყენსთ!... ან და: „Fräulein! დღეს ფული არ მაქვს, რით გავისწორდებ?“ — „ო, ეგ არაფერია, თქვენ კარგათ იყავით, მე გადაიხდი თქვენ მაგიერთა“ და სხვ. და სხვ.

არ იფიქროთ, ვითომ ასეთი ქვევა კლენერიინს მხოლოდ ერთ ეინმესთან ჰქონდეს. არა, ის ყველას ასე ექცევა. დაეკითხეთ მას, რომელი უფრო მოსწონს ყავახანაში მჯდომ ხალხში. ყველა მომწონსო, გეტყვისთ. და მართლაც ყველა მოსწონს, ყველას გულით ყველას სიყვარულით ექცევა. მას ფართე გული აქვს, იქ ყველა პოულობს თბილ ალაგს. გულკეთილობაც ხომ ამას ჰქვია...

კლენერიინს ვერ ვებრუნება „ცერემონიები“, მშრალი, გაყინული ქვევა — მოპყრობა. გაგიცნოთ, — უშეკველათ უნდა დაგახლოვდესთ, უნდა გაიგოს თქვენი ჩვეულება, ცხოვრება. უნდა გაიგოს, სად ცხოვრებთ, როგორ ცხოვრებთ, ვისთან გაქვთ ნაცნობა-მეგობრობა. ექვებთ ეინმეს მიუხეზნეში, — გაიგეთ მხოლოდ, რომელ ყავახანაში დადის ჩვეულებრივ თქვენი ნაცნობი, სხვა არა გინდათრა: იქ ხელათ დეგიწრთ კლენერიინი მის ადრესს და გასწავლისთ გზასაც. მან ყველა ეს იცის.

რა იცის კიდევ? მან ბევრი რამე იცის. საზოგადოლოთ ის განათლებული ქალია. მას სახალხო სკოლა მინიც დასრულებული აქვს, ხშირათ ეგმინახიც. მიუხეზნეში, როგორც მთელ გერმანიაში, სწავლა სავალდებულოა და უსწავლეელი ვერაიენ დარჩება. კლენერიინსაც ნასწავლი აქვს წერა, კითხვა, ანგარიში, გეოგრაფია, ისტორია, გერმანული ენა. რამდენსამე უცხო ენაზე მოლაპარაკე კლენერიინსაც ხშირათ ნახათ. ასეთი ცოდნით შეიარაღებული ის შემოლის ყავახანაში. ეს მისი გეორე სკოლაა, ნამდვილი ცხოვრების სკოლა. მისი განათლებაც აქ სრულდება. აქაური ყავახანა ჩვენებური სამიკიტრო როდია. ჩვენებურ სამიკიტროში დადის ან ლოთი, ან მეტანქოვე, ან უოჯახო და უსახლკარო ადამიანი. აქ კი ყავახანაში ყველა დადის, როგორც ლოთი, ისე არა

ლოთი, როგორც უბინაო, ისე სახლკარიანი და ოჯახიანი; დაღის ოჯახის არა ერთი ან ორი წევრი, არამედ მთელი ოჯახი: დაღის ოჯახის მამა ცოლით და შვილებით, დაღის საქმრო საცოლოთი, შეყვარებული სატრფოთი, დაღის მდიდარი და ღარიბი, სწავლული და უსწავლელი, პროფესორი და შეგირდი. ცხელი, ყავახანა უბრალო სამიტიანი არაა, და არ არის იმიტომ, რომ ყავახანა, როგორც კუჭის, ისე ტერის ასამუშავებელი ადგილიცაა. იქ აწყვეთ მრავალი ტურნალ-გაზეთები და ხალხი კითხულობს, ცხოვრების მიმდინარეობას თვალს ადევნებს. უყურნალ-გაზეთით ყავახანა ვერ ივაჭრებს, იქ არავინ ივლის. ვერმანელისთვის გაზეთი ისეთივე მოთხოვნითაა, როგორც ლუდი და სიგარა. ყავახანაში გედება ნაცემნი ნაერობს, მეგობარი მეგობარს, აქ გაეცნობენ ხოლმე უყურნობი ერთმანეთს. აქ არის სჯა-ბაასი პოლიტიკა—დობლიმატ აზე, ვაჭრობა-მარეწველობაზე, მთავრობაზე, შინაურ და გარეშე საქმეებზე, ოჯახურ ამბებზე და მეგობრულ ურთიერთობაზე, სიყვარულზე და ფულის ანგარიშზე... აქ — და ლუდხანაში კიდევ უფრო ხშირათ — იმართება კრებები, აქ სწევენ ორატორები პროპაგანდას, ამბობენ სიტყვებს, კითხულობენ რეფერატებს. აქვე იმართება საღამოები, ბალები, წარმოდგენები. ერთი სიტყვით ყავახანაში მუდმივი, შეუწყვეტილი გარეგნობა მოძრაობდა. ასეთ წრეში ტრიალებს კენონი. ის ასეთი მოძრაობის მუდმივი დამსწრეა, მუდმივი მეთვალყურეა. მან იცის, რა კრებაა დღეს, ვინ არის ორატორი, რომელი პარტიისა, რას უქადაგებს, ვის ებრძვის; იცის, რა მოხდა დღეს მთელ ქალაქში, მთელ სახელმწიფოში და აგრეთვე საზღვარგარეთ, მას აქვს ხელში მუდამ გაზეთები, ჟურნალები და შეუძლია თვლი გადგალოს. რის წაკითხვასაც ვერ მოასწრებს, ამას გაგონებით ისრულებს. მას ესმის სჯა, ბაასი, კამათი და ამით მისი გონებაც ვარჯიშდება, წინ მიდის. მისი გონების განვითარება კაბინეტური არაა, — ის არ უზის წიგნებს და არ ზეპირობს. მისი ცოდნა პრაქტიკული ცოდნაა და ავბუღლია ნამდვილი ცხოვრების მოთხოვნებზე. ამ ცოდნას ის იძენს ადვილათ, შეუწყვეტლათ, ჩვეულებრივ სიცილ-ხუმრობაში. იძენს იმიით, რომ იგი თვით ცხოვრებაშია შესული და არა მოზორობული. არ არის სახლში კარ-ჩაკეტილი, არ უყურებს მუდამ ოთხ კედელს, არ ესმის მასაფეთ კარ ჩაკეტილ მუხობლის ჭორები. ის გარეთ გამოსული, გარეთ „გახედული“ ქალია და ამ გარეთ გამოსვლის შედეგი ის არის, რომ იგი სახლში კარ-ჩაკეტილ ქალთან შედარებით გონება განსწილ-განვითარებულია.

ასეთ გარეთ გამოსვლის შედეგი ისაა კიდევ,

რომ კენონის მორცხვობა, მობუზულობა არა აქვს. მას არავის არ ემინია, არ რცხენია. გარეთ გამოუხედვე, საზოგადოების და ხალხის უნახვე ქალს მამაკაცთან დალაპარაკებაზე ენა ემბება, სახეზე აღმური ასდის, გონება ემბება და რის თქმაც უნდა, ავიწყდება. მიდის გეზზე, — რცხენია, ამ სიტყვით გამო იბნევა, ან ქვას ფეხს წამოკრავს და დაცემა, ან სხვა რამე უტრხული ხითათი მოუვა. ზის საღილათ საზოგადოებაში, — შამშილით რომ ჰყვებოდეს ლუქმას პირში ვერ ჩაიდებს, ან ჩაიდებს, მარა ისეთ პატარას, რომ ჩიტსაც ვერ გააძღებს. სუფრა რომ საქმელებით სავსე იყოს, ის მაინც შშიერი აღდება. რომ გულიანთ ჰამოს, უნდა ოთახში დაიმალოს. ის თავის თავისუფლათ მაშინ გრძნობს, როცა მარტოა, როცა არავინ უყურებს, უცხო სიხალთეებს არაუარის. ამიტომ ასეთ ქალს საზოგადოება სძულს, ხალხში ვასვლა ვერ ეტრხება, რადან საზოგადოებაში იტანჯება, იქ ჰუდამ აღლევებულია, მუდამ ნერვებ დაჭიმულია. როცა საზოგადოებაში მოხვდება; ნატრობს, როდის იქნება ჩემ სახლში წავიდე, სადმე კუნჭულში მივიმალო და თავისუფლათ ამოვისუნთქოვო. ერთი სიტყვით ასეთი ქალი ველური არსებაა. მას კულტურის არა აცხიარა, იგი პატრიარქალური ცხოვრების წარმოშობილია, კენონის კი ვეროპის კულტურის ღვიძლი შეიღია და მის მიხერა-მოხერას, ქცევას, კულტურის დღი ასეთი. საცა უნდა იყოს, მარტო თუ ხალხში, ის ყველგან თავისუფალია, შეწყუბებას არა გრძნობს. ჰშია, — ჰმას ყველას თვალ წინ, უნდა სასმელი, — სჯამს და, უნდა ვთქვათ, ზორბათაც სჯამს. სჯაში, ბაასში, სიარულში, საზოგადოათ მიმოხერაში, — ყველაფერში ძალდაუტანებლობა, თავისუფლება ეტყობა. მისთვის სულ ერთია, ვის ელაპარაკება: სალდაის თუ გენერალს, პროფესორს თუ სტუდენტს, მილიონერს თუ მუშას, მამაკაცს თუ დედაკაცს, — ყველასთან თამაში, არაფისთან მორცხვობა და უკან უკან წევა არ ეტყობა. ის ლაპარაკში არ დაიბნევა, რის თქმაც უნდა, ლამაზთ და გაგებულათ იტყვის, სხვისი ნათქვამის კრიტიკა და ვასჯა იცის. მას ყველა სიყვარულს უტყვადებს, ყველა სიყვარულში არა მუწუნებს, — ისიც იცინის, მხიარულობს. მარ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ეს მას რწამდეს, სიმ რთლეთ მიანდეს. მან კარგათ იცის, რომ ეს ხუმრობაა და არა სიმართლე. ღამის ორ საათზე ყავახანიდან სახლში მარტო მიდის, — არაფრის და არაფისი არ ეშინია, გაყოლი და დამცველი არ სჭირია. თავის დაცვა თითონ მასვე შეუძლია. მას საკუთარი პიროვნება შეგნებული აქვს, ადამიანები მგლებათ და დათევათ არ ეტყენებიან და ამიტომ აღარც ემინია.

და არა მარტო კელნერინია ასეთი თამამი და უშიშარი, — საზოგადოთ მიუხედავად ქალი ასეთი თვისებისაა. ხალხს, საზოგადოებას აქაური ქალი შეჩვეულია და აღარ უფრთხის მას. საღ ერევეა ფი ამ საზოგადოებას? ყველგან. მოვშორდეთ ყავახანას, — ენახოთ აქაური მალაზია, ვაქრობა.

ფ. შატერშვილი



რა მიაფეხა სოსიკას,

(მოთხრობა ქართლის გიორგიებისადმი)

I

ბრამი აღდგებოდა ღმერთში!

— ოჰ, გაციმარჯოს ღმერთმა, ჩემო სოსიკო, — რითისი მისულხარ?! —

— იმ დღეს არ გეხევევებოდა — ეგება ფული მიშოგო მეთქი!

— როდის იმ დღეს — მერე რა გითხარი?!

— გამოდ და მოვილაპარაკოთ — შენი ჭირიმე აბრამ, გინდ მოგიკლავარ და გინდ უფულოთ გავისტუმრებოივარ — ხო იცო, როგორც მიჭირს ფული — ი რო გუგუნებოდი.

აბრამმა შეიკუმხნა შუბლი, ცოტათი მოახუჭა თვალები, დაატკრა მიწას და თან ეშმაკურათა, განხე გასტკეროდა სოსიკას.

სოსიკა დაეხიზნა ჯოხს და თვე ჩაღუნული მიიქცა რაღაც გაურკვეველ ფიქრს.

— ჰა, აბრამ რას გაჩემდი! შენს იქით გზა არა მაქვს, გინდა მაცოცხლე, გინდა მამკლია.

აბრამმა აიღო მაღლა თავი და ცოტა ხანს შემდეგ უთხრა სოსიკას:

— ისე შენ ვიშველოს ღმერთმა, როგორც მე ყველა ვაჭირვებული კაცისთვის მიწის ფული; მეც მიშველოს ღმერთმა — მარტო შენ არ დავიციკა — მაგრამ უჭირთელობაა: ცისაც რა მიივცე აღარაგინდ მოამცა; ფერი თქვენი სოფელში, რამდენმა გამიხადე საჩივრებით საქმე — ფული დავატე, — ყველას გაფუძნებოდა ღმერთსა და თანესაც კი აღარ მადლებენ. აი, იმ ხუროთშვილისა არ იცეხს, მაიფილა, მოცდენის გარდა, ფულიც დაეხარჯე დავში და რა ავიღე!

— რა მოიგო რა გაჩივლა, — ეგქსილში რაც

ეწეო ხო კანონიერი სარგებლით გადახდინე და შენც კა წააგე! უნახუბა ღმირლით უწყინარი ხმით სასიკამ.

— უპირულობაა: სარგებელს მადლიანათ აღარაგინ მადლებს. შენმა ვაჭირებამ თუქ შემაწუხა სოსიკო, მაგრამ მაინც ვერ ვასესხებ.

ეს რომ თქვა წამოღვა ზეზე აბრამი და კარებს უკან აიტუხა.

ფულის არ ქონება ტყუილად მახუდა სოსიკოს გულში, დავუდა ჯოხს და მწარეთ ჩაუქრდა...

— ბევლი გინდა, — შოშოკო, ფული?! ჰქონხა სოსიკოს დახლში მდკომმა — აბრამის შვილმა — იაკობმა.

ამ კითხვებზე სოსიკომ დალონებთ უნახუბა: — ერთი ორი თუმანი მინდა; შენც უთხარი მამაშენსა მიშოგეთ ფული და ღმერთ, რეუო, რამდენ სარგებელსაც მოხვოთ, კალოზედ ავაროეთ და მოგცემთ.

— შეგვიშვან ოღ ჩანახ პულმ ვიღებთ — თვეში თუმანზე — ჩვენი ჩანახით — ენა მოხლეკით უთხრა იაკობმა სოსიკოს.

— რა ექვა, სარგებლის გარდა ორ ჩანახს მცუ დავიციოთ, ოღონც მიშოგეთ ფული. მამაშენი რა გაიქცა, რა, მე რა უპირული კაცო მახხა, ჰა — უთხრა იმეღინათ სოსიკამ.

— მოიანდე და ეხლავე მოეა. — აბრამის შვილი იაკობი ენა ჩაღუნე იყო.

სოსიკო ჩამოჯდა ღმერთში ხის ჯირკვზე და დაუწყო აბრამს ლოდინი...

II

აბრამი იყო საშუალო ქონების კაცის შვილი, რომელსაც სოფელში სიარულით მოეკროებინა კარგა ბლომით ფული.

აბრამი წვერულგამ ამწვანებულ იყო, მამა რომ მოუყვდა. იმან თავი დაანება სოფელში სიარულს და თავის სოფელში გამართა ღმერთი; ერთიღ მაისიგან დარჩა. ეს ორი ღმერთი ერთმანეთზე გადაბა, ერთს გაუმგარა კარები და რაც ძვირფასი საქონელი ჰქონდა შიგ დააწყო, მეორე თავის სავაჭროთ მოერთო, მაგრამ შოგ კი არა ეწყობრა: ასე რომ აბრამის სავაჭრო ღმერთი ვაცარტული ეგონა კაცს; მაგრამ რასაც მოჰკითხავდით თითქო მიწოდან გაგინებდით. ამ სახით გაითქვა აბრამმა სახელი მთელ ქართლში; ცისაც კი რამე დაჭირდებოდა, იმასთან მირბოდა და თუ წინა ღმერთში არა ჰქონდარა, მეორე დაფარული ღმერთიდან ვაშოუტანდა ჩემთა და ისე რასტტურათ აწვენებდა თავს მუშტარს, თითქო რასაც მისცედა — იმაზე მეტად აღარა ჩამებდარა. მოიღებდა თუ არა აბრამი ხელში ფულს, მამაწე ან სასარგებლოთ

ავალტვება და ან იგირავებდა გამოასელიან ეენანებებს და სახნაჲ მიწებს. ამ გვარათ რამდენსამე წელს შერმდეგ აბრამს ჰქონდა სოფლებში ბლომათ გაველდ-ბუილი ფული სასარგებლოთ. გაილენებოდა თუ არა ჰირანხული, ურამები დაიძრებოდენ სოფლებიდან და ურეგი ურეგზე ადგა აბრამს კარზე საყვ ტომარეგი რ დასაპალნებულო; აბრამიც ურეგებდა ადგრლს და მფურამებიც იქ კლიდენ ტომარებს.

ამ გვარათ სულ დაიესებოდენ ჰირანხულით აბრამის დადგული ოთახები, ბელღები და ჯიხუ-რები. ავრთვე რთველზე აბრამის სახლს სწირათ მიადგებოდენ ურამები ყურძინი და ხილით სავსე გარდებით. ასეთ სარგებელს აბრამი მაღე ფულათ აქცევდა და, სადაც კარგი ნაპატევირი ნაფურხრები და ვენახები გამოჩნდებოდა, ხელიდან არ გაუმეგბდა. თუმცა აბრამს ფული გამოუღეველათ ჰქონდა, მაგრამ სასესებოდა რომ ეინმე მივიდოდა, ისე გა-აწყობდა, რომ კაცი იფიქრებდა—კაპუცი არ ექნებოდა. იმას ჩეველებათ ჰქონდა, ერთი ორ-სამ დღეს უნდა ეცდევინებინა იმისთვის, ეინც ფულს ესესებოდა და როდესაც დარწმუნდებოდა, ჩემ ნებაზე მოვექციეო, მაშინ ერთი ორათ და ერთი სამათაც დაუწერდა ეექსილში და როცა კარ-გათ შემოწმებულ ეექსილს ჩაივებდა ჯიხეში—და-უთვლიდა ფულს მოვეალეს ზე გაისტუმრებდა სახლში.

აჲ, ამ გვართვე მოვექცა ის ჩენ სოსიკასაც. —დღეს შენი გულისათვის მოვეცი, ბეგრი ეიარე, მაგრამ ეერ გიშოვე ფული; ამ საათს კაპუცი არ შაქეს ხელში და ხვალაჲდის ფულს ეერ მოგცემო — ეს უთხრა აბრამმა ზე გამოჩნდა სოსიკას. სოსიკას წე-ლი მოწყოდა, მუხლები მოეკეთა, მაგრამ რას იზამდა, ფისთან წასულიყო და ან ეინ გაუმართავდა გაქირ-ვების დროს ხელს, თუ არ ისეგ აბრამი. თვე ჩალუ-წული, ჩაფიქრებული, მიმით დაძრა სახლისკენ სოსიკა.

III

გაორგობის თევა. ირგელიე მოჩანან ცამდის ამართული თოვლით დაფენილი მთები, თედას ენ-გენება, თითქო ლეთის განგებას ცისათერს მიუღ-გამს ბოძებათ ეს მთები, ზედ დაუმზია ჯამიეთი ცა და შიგ მოუმწყედეფია ეს არე-მარე. შორს მთის ძირას მოჩანან სოფელი ბლუეთი, საიდანაც ისმის ძალ-ღების ყეფა და წაქეწკეი. კაქლის ტოტებ შუა აქა იქა გამოჩანს დაყარული სახლები, დაძირული ჩა-ლები და საძილები. აი მიუახლოებეთ ამ სოფელს, შეხედით კიდეც; აქეთ-იქით ლობებების მაგერათ ცარიელი თხრილებია, რომლებსაც თხლათ გაყოღე-ბული აქეს ნერგები და ყეფ ფშატა (გარეული ფშა-ტა); თხრლებს შიგნიდან მოჩანან მიწაში დაუმარა-

ხაეი უსარო ვახები; გაივლით ცოტას და დავებდე-ბათ თხელი ტალანის მორევი, რომელსაც ზედა ჰი-რზე გადაჰყრია თხელი ყინული—ძალიან მარჯვე უნდა იყოს კაცი, რომ დაუსველებოდა გაცდეს მორევის—ეთქვათ როგორც იყო გაცილით მორევის, მარჯენიე ვინაჲთ მიწურ ალოზს სალღეს, რომ-ლის ბუხრებიდან კომლი კუმშათ ამოხრჩის. ცოტა-საც გაივლით ზე დატებდებათ ბოგირი; აი, ამ ბოგირის მარცხნიე, ერთ პატარა ნაფურხრის ბოლოზე დი-ნახათ მიწურ სახლს, რომელსაც მიწის პირათ აფარია ჰეირი და ზედ ავარავებულია იმგა. ზეი-დან, ამ სახლს დაბალ ბუხარს ახნია ძირ დაჰაქარ-დნილი დიდი ქილა; ბუხარს ახლო აქეს (მიწის პი-რათ) ოთხუთხი ბანი, საიდანაც ჩადის სახლ-ში მშის შუქი. აი, ამ სახლის გვერდზე იღვა უხარ მახარი კაქლის ხე, რომლის ნაყოფიც გაქ-მული იყო ახლო-მახლო სოფლებში. ახლა ამ კაქ-ლის მაგერათ მის ნაადგილეზე ევლა იმ კაქლის-ეე კუნძი, რომელსაც ხან ერთი გვერდიდან უყავუ-ნებდა ცულს და ხან მეორედან ერთა მალა-მა-ლალი, ტან წერილი, გამხდარი ქალი, მაგრამ მისი დაქრული ცული არაფრათ მოქმედებდა კუნძზე. ის ხან მალა აბყორცინიდა ცულს და ხან გვერდზე, მაგრამ ქალი მიიწე ამათ ცდობდა გაყინული კუნძის დაბობას,

- „სალამო მშვიდობისა, ნათლი დეღ!“ — მიად-ხა ტასიას ერთმა დაბალ-დაბალმა შევეგრემანა კაცმა.
- ამ კაცის დანახებზე ტასიას ფერი ეცვალა და მუხლების კანკალით ძლიეს უბასუხა:
- „ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!“
- სად არის სოსიკა, ეერ იშოვა ფული?!
- რა ეიცი, ავერ რამდენი ხანაა ი ფულისა-თვისა ზრუნამს; დილასაც ფულისთვის წაეიდა და რა ექნა, რა არ მოსულა შინა!..

— მოსულა კი არა უთხარი სოსიკას, დროზე იშოვოს ფული—რამდენსა გეცემენ ზე აბედს გეამ-ლევენ თქვენი გულისთვის, უთხარი, აი, ხვალაც მოუცდით და თუ არ გამოჩნხით თქვენ საქონელსა, აი, ი გორკელი ყსაბი ყიდულობს.

ეს უთხრა თუ არა ტასიას შევეგრემანა კაცმა, გა-ბრუნდა და თან ყვიროდა: ამ ჯანჯალი ხალხისა-გან არის, გაობრტყელი და გაღწერილი სოფელი; საწყალი კაცი რა გასაჩენია—დააქირე წიხლი და გაქუცილი—შე მუდგევრა ბიჭო, ე რა არ მოგე-შეება საქმე, აიღე და მიე ჰა, რაზე აღეწინებ სო-ფელსა...!

ამ დროს ტასია უძრავათ იღვა კუნძთან და ყურს უდებდა შევეგრემანი კაცის ყვირილსა. შემდეგ აიღო ხელში ცული და ერთ ორჯელ კიდეგ დაჰ-

რა კაკლის კუნძს, და რო დარწმუნდა ვერაფერს შევაპობო, დაიჭირა ხელში ცუდი და ვასწავა სახლი-სკენ; ჩაეღია მიწური სახლის დერეფანში, მივიდა სახლის კარებთან — გააღო კარები და შევიდა სახლში.

— მიჭრა ბუხართან ტასია და ხელათ მაგრა ჩაპრა თავში ბუხარ წინ მჯდომარე კმაწვილს, ილიკოს, და თან შეუტია: „შე სიყმე შევო, მაგდენ ნაქუსს ახლავე ანეს, ხომ გავწყდით სიცოეთ ამ ქალაქია ღამეს; წე ვს ბავში, რა ჩხავის, ევლარ ვადაარწებზე!“

ბუხრის კერასთან მიიკუნტა ფენს შაშველა და გულ-ვადადელილი ილიკო და თე-ჩალუნული, ქვეშ ქვეშ გაიკტირებოდა დედსაკენ, როდესაც უკანასკნელი არწუნდა აკენასა; მაგრამ პატარა შაქრო აკენაში მინიქ ხმა მაღლა ტირილა.

— ოო მამაშენიქ წასულა მოუხსავალში, რომ აღარ მოსულყვეს შინ ცოც... დასწყევლოს ღმერთმა, თუ ერთი გაატაო თავი სახლიდან ნულარ გიფიქრათ, რომ იმან დროზე მოიხედოს შინ. რა უშვებს, დასეირნობს აქეთ-იქეთა და ერთობა სხვა-და-სხვა სანახავებითა, რაკი გავა სახლიდან — ყველა დადიწყდება — აღარც შევა ახსოვს და აღარც ფიჩხი. აი, ცეცხლიც წაჰკიდებოა ჩვენ ბატრანს ჩვენი ცოდეითა; ნაფუზარა ნაფუზარას აღარ გვიგამს, სულ დაფუვით ნაფუზარის ღობეები. აღარც მარგილი გვრჩება და აღარც ხეხილი — ოხაათ დაურჩეთ და ტივლათ გაუხვლეთ ტყე — ეგ ერთი კაკალი გვედვა, შვილის გამეტება ჯობდა მაგის მოჭრას მაგრამ რა გვექნა... ღამბარკობდა გიფიეთი ტასია, ხან დაბალი და ხან მაღალი ხმით. დავიჯერო იცის ვინმე ეს ჩვენი გაჭირებება? არა მგონია რა იცოდეს.

— დედა, ამაღამაც იქ უნდა ეწყვიროთ ჩვენი ძროხანი?! * ჰკითხა შესარიგებელი კილოთი ილიკომ ტასიას.

— ოი, ძროხა მამაშენსა და ჯანდაბა; აგერ დახინდდა და მინიქ არსადა ჩანს! მის იცის, იმ ურჯულრომაც იქნება ფული არ მისცა, ცარიელი რომ მოვიდეს, მაშინ არის საქმე; მერე უყურე ამ ღამე იმის ბორავასა, წუხელისაც ჯავრით არ ძინებოა...

ამ დროს გააღო სახლის კარები და შემოვიდა თავ დიდურული, მაღალ-მაღალი სრული ტანის კაცო, თუხე ესურა აქა-იქა ბანალ ამოგლეჯილი შავი ქუდი; ტანზე ცეცა, ალაგ-ალაგ დაკვერთული, თეთრი ჩოხა, წელზე ვრტყა ხამი ტყავის წეროლი ქაპარი; შარავლი ცეცა შავი იარღლისა, რომელიც იქ იყო თეთრი ძაფით რომ დაკონკრებული, ერთი ძაფი რომ გამოგებოროთ, ცხრა ნაფლეთი ჩამოვარდებოდა. ფეხებზე და წვივებზე ცეცა დაგლეჯილი წინდა-ქალამანი და შავი პაიკები, რომლებიც ტალახში

იყვენ ამოსერილი. — შემოვიდა თუ არა სოსიკო სახლში, მიხედ-მოხედდა — მივიდა როდითან, დაავლო ხელი, მიიტანა ბუხრის წინ, დაამხო პირქვე და ზედ ჩამოჯდომას აპირებდა, თან ხმა მაღლა უთხრა ტასიას.

— შე ოჯახ დასაქცეო, ევლარ ანთე ე ოჯერი ცეცხლი, ჰაა! არ იცოდ, რა შეცივებული მოვიდოდი!..

ამ დროს ბუხრის კერასთან მჯდომარე ილიკო, ხან დედას შეხედავდა და ხან მამას, მაგრამ მის არც ერთი ხმას არ სცემდა; იმასაც უყვირდა დედამის ასეთი არა ჩვეულებრივი ქცევა. — სოსიკო თან ტალახთან ქალამნებს იხილდა და თან ხმა დაბლა ამბობდა:

— მაგ ოხერა ღარიბაშვილის ეენახთან წამიკუნტა ფენი და ტალახის მორგეში გადავარდი; ჩაში ტყდა ყინული და ძლივს ამოვამტრე ფენები. — ტასია მივიდა ნაქუსის გოდორთან, აიწია კაბის კალთა, ჩიყარა ნაქუსი — მიიტანა ბუხართან და ჩიყარა — ჩანელმებულ ნაქუსის ცეცხლს.

— აი, აღრე გეშველოს, აღრე შენ ეგ ანთოო... მოიტა კიდე დაყარე. — უთხრა წყრომით სოსიკამ ცოლს.

— კაცო, რა დაიწყებ ხოლმე უთავებოლო ლაპარაკს და აღარაფერს ფიქრობ, ახლავე რა და ვაყარო, მერე რილათი ანთებ ცეცხლს; ამოტელა ღამეში, ეგებ როგორ გაუტირდეს კაცს! შენ ამ ღამე ტუბილთა გინანეს და მე კი არა მკითხავ, რომ ამ ღამე წარამარა ჩხავის ბავში! ნაქუსმა დაიწყო ხჩროლევა და შემდეგ ნელ-ნელა ალიც აიღო. სოსიკამ დაიხდა წინდა ქალამანი, გაჩხირა ბუხარში თან მოტანილი ნერგის ჯახი, დაუნია ზედ ტალახთან წინდები და დაიწყო ცეცხლზე თბობა.

— შე ოჯახ დასაქცეო, პატარა ჯექამანი ევლარ მიადგე, დღეს პური აღარ მიჰქმია, რაც დიღის აქ არ დაწავყრი.

— კაცო, რითი უნდა მომხარწა, ეგრე ხედავ ამ შეშის სიძვირეს?! წახვედი და დაგვანებე თავი, უშეშო ცარიელა სახლში; კიდევ კარგია რომ მამაგონდა: გამოვბევე სიმინდი; — დღეს და ამაღამ ამ ნაქუსით უნდა გამოვიდეთ — გაუტანე წყლან ცული, უნდა დამეპო კუნძი, მაგრამ ერთი ნაფურცტე ვერ შევაგლებინე. — ტასია ბუხართან დაჯდომას ეპირებოდა, როდესაც სოსიკამ ისევ შეუტია:

— პური მშთან მეთქი, ყრუ ხარ?

მივიდა კიღობანთან ტასია, ამოიღო ორი თონის მუღა, მიიტანა ბუხართან, ჩაუფიცა ცეცხლს და თითონაც გვერდით მოუჯდა.

— კაცო, ეგ რა ზნე გჭირს!!, წახვალ საღმე

იქ დაწვები, მოხელ და მუნჯივით დაჯდები; რა ქენი, რისთვის იყავი ამ ქალაქა დაღე წასული?

ტასიას კიდვე რაღაც უნდა ეთქვა, როდესაც სოსიკამ შეუთქვა:

— გიყვარვ დედაკაცი, ეს უფრო მიწამომას სიკოცლეს; ალბინათ ქალბატონივით ბძანდება სახლში და პასტე პასტეს გაიძახის. ხელ გამოდი და მოაკცეო! — ძალთ ხომ ვერ წაერთმევედი იმ ვერანასა!..


— ამაღამ კი სიცივით გაწყდებიან და მერე გინდა მოკცეს და გინდა არა...

— ოჰ, შენ შეგაჩვენა ღმერთო, ქალი რა გასაჩენი იყო, კულიანია, კულიანი!

სოტა ხანს შემდეგ ადგა ტასია, მივიდა ძველ დაჯდულ სეიფთან, რომელზედაც ელაგა ლოგინი, აიღო დაგლევილი ქუჩუთი გაბლისკნოლი ლივით და მუთაქა, მიიტანა ბუნბართან დახეულ კილოზე, გაშალა ლივით და კვლის ძირას დადგა მუთაქა; შემდეგ მიიყენა მიუღწეველი ილიკო და ზედ დაწვინა; მოიტანა შემდეგ პატარა ხონა, დაუდგა ქმარს წინ და თათრანაც მიუგდა გვერდზე.

სოსიკამ აიღო გაფრთხილებული მკვდები და ორივემ ერთთ დაიწყეს ჭამა. როდესაც გაათავეს ვახშმის ჭამა, სოსიკა მივიდა ლოგინთან, ვახიდა ტანისმოსი, მოუწეა ილიკოს გვერდზე და ზედ წაიხურა დაგლევილი საბანი. პატარა ხანს შემდეგ გააქრო ტასიამაც საწაოთი, ჩაწეა ლოგინში და მიიკრა გულზე პატარა ილიკო.

(შემდეგ იქნება)



„საქალის“ ფოსტა.


ქ. ბ.—შო. ბ. იანვრ 1 —ქმს. თქვენ ბეჭდითსივით: კვლის უყანსხელ ნომერში დაბეჭდილი ისტორიული ცნობები ირავლის შესახებ მართლად 1879 წლის „ივერიაში“ ნომერში დასტამება, როგორც ამას უნდა. ფურც. წერადა. რადგან თქვენ ვერ შეგომოწმებთ ეს, ამისათვის განხორციელებული შედეგის: „ივერიაში“ ნომერში ერთი სატყუებ ან არის ირავლი მუარის შესახებ. ეს შენისნას ატორის სრული ფანტაზია. ჩვენ შივრ დასტამული ცნობები პირველია ქართულ მწერლობაში, თუმცა აღდანი წერა გიხთვის საზოგადოების წინსვლაში ინახება, და მისი უმნიშვნელო ნაწილი კიდევ უფრო მნიშვნელო, ვინაიდან რომ ტყუილებს ან აქვივით და ჩვენ მოგეზრებით.

თოლისში. თანამდებობადაც. ჩვენ ირავლის შესახებ ვარწივთ მის თანამდებობაზე უსწრაფეს აზრს დატყუებულ და ანა შინაობა, რასაც არავითარი ისტორიული მნიშვნელობა ან აქვს.

ამ ნომერში ნახმარი საჭიროა თქვით სიტყვების ასნა

(ერთხელ ასნა სიტყვებს მერე ხელ აღარ ავსნით.)

აგარიები — გამაღვასტურში მუყრუნეს; ანტისანიტარული — უსუფთაო; ანტიკონტინენტი — ვახსის მომშლელი; ანსამბლი — ერთანახა; დემონსტრაცია — საწარმოთ გამოსვლა; ენციკლოპედია — ენციკლოპედია; ადვოკატურა; ესტეტისა — სუფთა საამაყურა; ემიგრაცია — გასასვლელი; ექსპლოატაცია — გაყვანა, სარგებლობა; იდეალი — სარგებლობა შინაში; კრიზისი — შერყევა; კულტურა — ნივთიერ და განკარგვა იქნა წინა; მაქსიმალური — უმაღლესი; მეტაფიზიკა — მსუქლობა მიუწვდომელ საგანზე; მონარქია — ერთი რაქ საგნის აღწერა; პრინციპი — ძირითადი მოსაზრება; რაიონი — გუბნი; მარხ; სლავიანოფილი — სლავიანთ მოყვარე; ტაქტიკა — მოქმედების წესი; ფინანსური — უსაფრთხო საქონლის შემოტანის მოსაზრება; ფიზიკა — შენაერთება ნივთთა თვისებებზე და მათ ერთი მუარეზე განკარგვა გავლენაზე. ქიმიკა — შენაერთება ნივთიერებათა შინაგან ატომულაობაზე და მათ ცვალებადზე.



ქართული ოცეატრი.

ქმირას, 25 იანვარს 1898 წ.

ქართული დრამატული დასისაგან ეფ. და დავ. შესის მონაწილეობით წარმოადგენილი იქნება.

I

ბ ბ ბ რ ბ ს IV

ისტორიული დრამა 4 მოქმედ. გ. შესისა.

II

ბ ბ ბ რ ბ ს V

კომედია 2 მოქმედ. გ. შესისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ეფ. შესისა, ჩეჩუტხო-შვილისა, კარგარელისა, ვარელი; ბ.ბ. აბაშიძე, დ. მესხი, გელეიანოვი, გამყრელიძე, სემიონიძე, კანდელიკი, საფაროვი, გეგრაძე და სხვა.

აღვილებების ფანსი ჩვეულებრივია დასაწყისში 8 საათზე

რეჟისორი გ. შესი.

შენიშვნა: ალფონსო დოლე. — კვირიდან კვირამდე. — სხვა და სხვა ამბავი. — ეკოლის კორესპონდენცია. — ჩვენი სახეობა ზუსა. — ქრისტიანობა (რეჟია). — ორი სიზმარი ლექსი კ გოგოლაძისა. — ბიბლიოგრაფია გ. წერეთლისა. — წერილი პირიდან — ს. ს. — მგაზრდა შენიშვნები ფ. ფ. ტარაშვილისა. — რა მოვდა სოსიკას (მოთხრობა). — ეფ. დოლეის ფოსტა. — ენციკლოპედია ასნა. — განცხადება.

რედაქტორ — გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.